

დანართი #2

## სრვ-ის 2020 წლის 30 იანვრის საერთო კრების

### რეგლამენტი

1. 2020 წლის 30 იანვარს სრვ-ის საერთო კრება დაიწყება 13 საათზე მონაწილეთა რეგისტრაციით.
2. რეგისტრაცია ხორციელდება საერთო კრების სამდივნოში.
3. საერთო კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სრვ-ის პრეზიდენტს, გამგეობის წევრებს, ნამდვილი წევრების თითო წარმომადგენელს, პრეზიდენტობის კანდიდატებს, სამდივნოს (ზმის დამთვლელი კომისია) წევრებს. კრებას ესწრება და კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი.
4. საერთო კრება არ არის საჯარო.
5. ნამდვილი წევრები წარმოდგენილი იქნებიან მათი რეგისტრირებული (ოფიციალური) ხელმძღვანელების ან ასეთი ხელმძღვანელის მიერ გაცემული ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობით.
6. საერთო კრებაში მონაწილეობისათვის რეგისტრაციისათვის ნამდვილი წევრის უფლებამოსილ წარმომადგენელს უნდა გააჩნდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ნამდვილი წევრის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამდივნოსაგან იღებს მანდატს.
7. რეგისტრაციისას მონაწილენი ხელს აწერენ საერთო კრებაში მონაწილეთა (ნამდვილ წევრთა) სიას იმ ნამდვილი წევრის გრაფის გასწვრივ, რომელსაც წარმოადგენენ და რომლის სახელითაც ესწრებიან კრებაზე.
8. რეგისტრაცია მთავრდება 13 საათსა და 45 წუთზე.
9. სამდივნო გადასცემს კრების თავმჯდომარეს მონაწილეთა სიას და ვინაობას 13 საათსა და 55 წუთზე.
10. საერთო კრებას უძლვება გამგეობის თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში, გამგეობის მიერ არჩეული პირი - გამგეობის წევრი. კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია დააწესოს გამოსვლელთა რეგლამენტი და რაოდენობა, გამოაცხადოს შესვენება არაუმეტეს 30 წუთისა, კრების მსვლელობის უწყვეტობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
11. 14 საათზე კრების თავმჯდომარე აცხადებს ინფორმაციას კრების უფლებამოსილებისა და დღის წესრიგის შესახებ.
12. საერთო კრება ტარდება დღის წესრიგის მიხედვით.
13. სრვ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს გამოსვლისათვის ეძლევათ არაუმეტეს 20 წუთი. საკუთარი პროგრამის პრეზენტაციისათვის ფორმას ირჩევს თავად პრეზიდენტობის კანდიდატი.

14. საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით.
15. არჩევნებისას კენჭისყრის პროცედურა მიმდინარეობს დახურული წესით შემდეგნაირად: კრების თავმჯდომარის მიერ ნამდვილი წევრის დასახელებისას, ნამდვილი წევრის უფლებამოსილი პირი, სამდივნოსაგან მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის და კენჭისყრის სარეგისტრაციო დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ ღებულობს სამდივნოს მიერ ბეჭედდასმულ ბიულეტენს, რომელზედაც სასურველ კანდიდატს შემოხაზავს განცალკევებულ ადგილზე, სხვისგან დაფარულად და ბიულეტენის გაკეცის შემდეგ ათავსებს საარჩევნო ურნაში.
16. სამდივნოს წევრი ბიულეტენს ბეჭედს დაუსვამს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნამდვილი წევრის უფლებამოსილი წარმომადგენელი კენჭისყრის პროცედურის დაწყებისას წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ საბუთს.
17. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ერთ ტურად.
18. პრეზიდენტობის მხოლოდ ერთი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში კენჭისყრა ტარდება ღია წესით, მანდატის აწევით.
19. პრეზიდენტობის ორზე მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაშიც, არჩევნები ტარდება ერთ ტურად, გამარჯვებული გამოვლინდება სხვა კანდიდატებთან შედარებით მეტი ხმის (დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით) მიღებით.
20. საერთო კრება უფლებამოსილია დახურული კენჭისრით მიღებული გადაწყვეტილებით შეცვალოს ყველა ის წესი, რაც მიღებულია ამ რეგლამენტით.